სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

# ბ რ ძ ა ნ ებ ა

KA030658322641319

**09 / სექტემბერი / 2019 წ.** **თბილისი #06-160/ო**

## საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტების შექმნასთან დაკავშირებით გასატარებელი საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, „გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის #420 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) მიერ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“და „გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის #420 დადგენილების საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტების, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი), ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (დეს) საშუალებით გადმოგზავნისთანავე, ცენტრის კანცელარიის თანამშრომელი დოკუმენტაციას დაუყოვნებლივ უგზავნის ცენტრის გენერალურ დირექტორს, რომელიც შესაბამისი რეზოლუციით შესასრულებლად აწერს გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსს (ნ. გაბრიაძე) და გენერალური დირექტორის კონსულტანტს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში (ნ. გიუაშვილი), რომლებიც თავის მხრივ შესასრულებლად გადააწერენ შესაბამის თანამშრომლებს. კორესპონდენცია ასევე ეწერება კურატორ მოადგილეს (ი. ხონელიძე) და იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) საერთო კოორდინაციისა და სამუშაო პროცესში კონსულტაციების გაწევის მიზნით.

**2.** ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები (ნ. გაბრიაძე, ნ, გიუაშვილი):

**ა)** სამინისტროდან შემოსულ კორესპონდენციას კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში ცენტრის ოფიციალურ ვებ. გვერდზე www.ncdc.ge განთავსების მიზნით, კორესპონდენციის შემოსვლიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის საშუალებით უგზავნიან ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამმართველოს სპეციალისტს ანა პაპასკირს და კოორდინაციის გაწევის მიზნით ასევე - იურიდიულ სამმართველოს;

**ბ)** სამინისტროდან შემოსული კორესპონდენციის განხილვიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, მიმართავენ ცენტრის იურიდიულ სამმართველოს, შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის უზრუნველსაყოფად საექსპერტო კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

**3.** ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მასალებს, ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამმართველოს სპეციალისტი ანა პაპასკირი, იურიდიული სამმართველოს მითითებით, შესაბამის ველში, ერთი სამუშაო დღის განმავლობაში, განათავსებს კორესპონდენციას ცენტრის ოფიციალურ ვებ. გვერდზე www.ncdc.ge.

**4.** ამ ბრძანების მე-2 პუნქტის ''ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ცენტრის იურიდიული სამმართველო, გენერალურ დირექტორთან და ამ საკითხში ნართულ შესაბამის სხვა პირებთან კონსულტაციის შედეგად, 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ამზადებს ცენტრის გენერალური დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის პროექტს საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ.

**5.** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით, ცენტრში მომზადებულ შესაბამის დოკუმენტებს ( სკოპინგის დასკვნა, რეკომენდაცია სშგ -ს ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით) ხელს აწერს ცენტრის გენერალური დირექტორი და დაუყოვნებლივ იგზავნება სამინისტროში.

**6.** 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ცენტრი უზრუნველყოფს ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწნებული ხელმოწერილი დოკუმენტებისა და თანდართული სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის ან სამუშაო ვერსიის განთავსებას მის ოფიციალურ ვებ.გვერდზე www.ncdc.ge.

**7.** დაევალოთ:

**ა)** ცენტრის გენერალური დირექტორის კონსულტანტს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში (ნ. გიუაშვილი), გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსს (ნ. გაბრიაძე) გენერალური დირექტორის მოადგილესთან (ირმა ხონელიძე) კოორდინაციით 2019 წლის ბოლომდე ცენტრის გენერალურ დირექტორთან განსახილველად წარმოადგინონ სახელმძღვანელო დოკუმენტის „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ" პროექტი;

**ბ)** საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს (ო. ნამიჭეიშვილი) და იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) ცენტრის მიერ ამ ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების განფასების მიზანშეწონილების დადგენა და მიზანშეწონილობის შემთხვევაში განფასება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

**გ)** გენერალური დირექტორის მოადგილეს - ალექსანდრე ტურძილაძეს და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს (დ.ზორიკოვი) ცენტრის ოფიციალურ ვებ.გვერდზე www.ncdc.ge შესაბამისი ველის შექმნა კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის და საზოგადოების მიერ მოსაზრებების და შენიშვნების განთავსების მიზნით, მათვე უზრუნველყონ დაუყოვნებლივ დახმარების აღმოჩენა, ამ მიმართულებით რაიმე შეფერხების წარმოქმნის შემთხვევაში;

**დ)** ცენტრის ყველა სტრუქტურულ ერთეულს, დაუყოვნებლივ მიაწოდონ ნებისმიერი საჭირო მასალა და აღმოუჩინონ სხვა სახის ტექნიკური დახმარება ამ ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტების შეუფერხებლად და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მოსამზადებლად, ამ დოკუმენტების შექმნისთვის ყველა პასუხისმგებელ პირს.

**8.** ამ ბრძანების მე- 7 პუნქტის ''ა'' ქვეპუნქტით განსაზღვრული სახელმძღვანელო დოკუმენტის დამტკიცებამდე, ცენტრის შესაბამისმა პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, ამ ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტების (სკოპინგის დასკვნა, რეკომენდაცია სშგ -ს ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით) მომზადებისას იხელმძღვანელონ:

**ა)** UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE (UNECE). Resource Manual to Support Application of the Protocol on Strategic Environmental Assessment. UNITED NATIONS. New York and Geneva, 2012;

**ბ)** GUIDELINES ON PRACTICAL APPLICATION OF STRATEGIC ENVIRONMENTAL ASSESSMENT IN GEORGIA. *OECD, UNEP, UNECE and UNIDO.* 2016;

**გ)** NHS. London Healthy Urban Development Unit. Rapid Health Impact Assessment Matrix. 2017;

და სხვა შესაბამისი, საერთაშორისოდ აღიარებული დოკუმენტებით.

**9.** ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

**10.** ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**11.** ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

# ბ რ ძ ა ნ ებ ა

KA030646433929119

**10 / სექტემბერი / 2019 წ.** **თბილისი #06-161/ო**

**„საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტების შექმნასთან დაკავშირებით გასატარებელი საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 9 სექტემბრის #06-160/ ო ბრძანებაში შეცდომის გასწორების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ებ:**

**1.** „საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტების შექმნასთან დაკავშირებით გასატარებელი საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 9 სექტემბრის #06-160/ო ბრძანების:

**ა)** მე - 6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„6.** 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ცენტრი უზრუნველყოფს ამ ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწნებული ხელმოწერილი დოკუმენტებისა და თანდართული სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის ან სამუშაო ვერსიის განთავსებას მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.ncdc.ge.“;

**ბ)** მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„ბ)** საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს (ო. ნამიჭეიშვილი) და იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) ცენტრის მიერ ამ ბრძანების მე-5 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების განფასების მიზანშეწონილების დადგენა და მიზანშეწონილობის შემთხვევაში განფასება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;“.

**2.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

**3.** ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, ფ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე